პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 244
(6555)
22
1979 წ.
დეკემბერი,
შაბათი.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის
1934 წლის
13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

უმაღლესი ლიგა

Чемпионат Советского Союза по шахматам

● კლასიკური ჭიდაობა ● საერთაშორისო შეხვედრა ●

აი, ტიტულები კი...

არბიტრმა გამარჯვების ნიშნად ხელი აუწია ავთანდილ მაისურაძეს და რუმინეთისა და საქართველოს კლასიკური სტილის მოჭიდავეთა საერთაშორისო მატჩიც დასრულდა. დასრულდა, ცოტა არ იყოს, უცნაური ანგარიშით — 8:1. გაიმარჯვეს ქართველმა ათლეტებმა.

მაყურებელმა ტაშით გააცილა ქვეყნის აბსოლუტური ჩემპიონი.

საერთაშორისო მატჩებში წარმატება ჩვენთვის უცხო ხილი არ არის, მაგრამ ასეთ შთამბეჭდავ გამარჯვებას მაინც სხვა ელფერი დაჰკრავს და იმ დღეს სპორტის სასახლეში მოსულ ჭიდაობის მოყვარულს თითქოსდა კმაყოფილების მეტი არაფერი უნდა გაჰყოლოდა შინ...

თუმცა ჯერ ხალიჩაზე გამართულ ორთაბრძოლებზე.

თემურ ყაზარაშვილის მეტოქეს, მსოფლიოს ორგზისა და ევროპის ხუთგზის ჩემპიონს კონსტანტინე ალექსანდრუს ატესტაცია არ ესაჭიროება. პირველი 5 წუთის განმავლობაში შთაბეჭდილებაც ისეთი იყო, რომ ყაზარაშვილი მკაცრი გამომცდელის წინაშე წარსდგა, თანაც საკმაოდ მორიდებით. რუმინელმა პირველ პერიოდში 6 ქულა მოაგროვა, მერე ორი ქულაც მიუმატა მარაგს და შეხვედრის საბოლოო შედეგში ეჭვის შეტანაც სათუო ჩანდა. ორთაბრძოლის მე-6 წუთი. თემურმა ლამაზი გდებით ხიდზე გადაიყვანა მეტოქე. ალექსანდრუს კარგა ხანი დასჭირდა კრიტიკული სიტუაციიდან თავის დასაღწევად. წინასწარ ვიტყვით, რომ ეს ევროპის ჩემპიონის, რუმინეთის ნაკრების პირველი და უკანასკნელი მოგებაა, მაგრამ ისიც სათქმელია, რომ ეს ერთადერთი ქულა რუმინელი არბიტრის არაობიექტურობამ მოუტანა სტუმრებს. მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი რამდენჯერმე ორივე ბეჭით შეეხო ხალიჩას, მსაჯს ეს დეტალი „გამორჩა“ და ამ სუბიექტურობაში ალბათ მთავარი როლი ალექსანდრუს ტიტულებმა ითამაშა. ასე იყო თუ ისე, წმინდა გამარჯვების ნაცვლად ქართველმა ათლეტმა მხოლოდ სამი ქულა დაიმსახურა. მესამე პერიოდში ყაზარაშვილს მორიდების ნიშანწყალიც აღარ ეტყობოდა, პასიურობისთვის მისმა მეტოქემ ორი გაფრთხილებაც მიიღო, მაგრამ დროც ამოიწურა და ახალგაზრდებს შორის მსოფლიოს ჩემპიონმა ყაზარაშვილმა (მწვრთნელი ი. ჩხარტიშვილი) დამარცხებულმა დატოვა ხალიჩა.

მეორე შეხვედრამ ორი მსოფლიო ჩემპიონი დააწყვილა — ნიკუ ჯინგა და ვახტანგ ბლაგიძე (მწვრთნელები ჯ. მეგრელიშვილი და ა. თავართქილაძე). ამ ორთაბრძოლაში ვახტანგის უპირატესობა აშკარა იყო, რაც ქულათა საკმაო სხვაობაშიც გამოიხატა.

მესამე ორთაბრძოლა. ევროპის ჩემპიონატის პრიზიორი მიხაი ბოცილა და მწვრთნელ ო. ჩხეიძის აღზრდილი ამირან მაცაბერიძე. პირველი ორი პერიოდი ბრძოლა დაახლოებით თანაბარი იყო. შეხვედრის მიწურულს ამირანმა ორი ტრიალით 4 ქულა დაიმსახურა და საქართველოს ნაკრებიც დაწინაურდა — 2:1.

62 კგ წონაში სტუმრებს მოჭიდავე არ გამოუყვანიათ (გურამ მაჭარაშვილს მოგება ჩაეთვალა)— 3:1.

ძალზე საინტერესო გამოდგა 68 კგ წონით კატეგორიაში ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორის, მსოფლიოს 1978 წლისა და ევროპის ორგზის ჩემპიონის სტეფან რუსუსა და სსრ კავშირის ექს-ჩემპიონის რაიდი აბრამიშვილის (ვ. კანკავა) პაექრობა.

პირველ პერიოდში—3:1 აბრამიშვილის სასარგებლოდ. მეორე პერიოდში — 4:2. მესამე პერიოდში ქართველმა ფალავანმა კიდევ ორი ქულა დაიმსახურა, რასაც მსოფლიო ჩემპიონმა მხოლოდ ერთით უპასუხა და დამარცხებულმა დატოვა ასპარეზი. ანგარიში გახდა 4:1 მასპინძლების სასარგებლოდ.

74 კგ. მსოფლიო ჩემპიონატის პრიზიორი გიორგი ჩებოტარუ და თამაზ წინწალაშვილი (გ. დათიაშვილი, ვ. მაისურაძე). თამაზს 4 წუთი და 40 წამი დასჭირდა მეტოქის ხალიჩაზე გასაკრავად — 5:1.

82 კგ. მსოფლიოს ორგზისა და ევროპის სამგზის ჩემპიონი იონ რაიკო და ევროპის პირველობის პრიზიორი თემურ აფხაზავა (ი. ბობოხიძე).

ის ფაქტი, რომ ტიტულოვანმა მეტოქემ უპირატესობას ვერ მიაღწია, უდავოდ ლაპარაკობს თემურის კარგ ფორმაზე. ორივე სპორტსმენს სამ-სამი გაფრთხილებისთვის დამარცხება მიესაჯათ.

შემდეგ წონით კატეგორიაში სსრ კავშირის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორმა მალხაზ ლექავამ (მწვრთნელი თ. ლექავა) აშკარად დაჩაგრა მსოფლიო ჩემპიონატების ორგზის ვერცხლის პრიზიორი პეტრე დიკუ. პირველივე წუთზე ჩატარებულ ლამაზ ილეთს, სხვებიც მოჰყვა — 2:0, 4:0, 5:0, 8:0, 9:0. მალხაზმა უკანასკნელ წუთებამდე სულის მოთქმის საშუალება არ მისცა რუმინელს და დამსახურებულად გაიმარჯვა. საერთო ანგარიში გახდა 6:1!

(დასასრული მე-3 გვ.).



●

19 დეკემბერს თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართა რუმინეთისა და საქართველოს კლასიკური სტილის მოჭიდავეთა საერთაშორისო მატჩი, რომელიც ქართველი ფალავნების გამარჯვებით დასრულდა — 8:1. ფოტოზე აღბეჭდილია პირველი ორთაბრძოლა თ. ყაზარაშვილსა და მსოფლიოს ორგზის ჩემპიონს კ. ალექსანდრუს შორის. ახალგაზრდა სპორტსმენმა ტოლი არ დაუდო ტიტულოვან მეტოქეს და არბიტრის ორჭოფობა რომ არა, წმინდა გამარჯვება, რაც ფოტოზეც კარგად ჩანს, მოპოვებული ჰქონდა.

ა. კოტორაშვილის ფოტო.

●

22
МАСТЕР СПОРТА
ПОПИВОДА
МЕЖДУНАРОДНЫЙ МАСТЕР
СЕМЕНОВА

ფინიში იწყება

გუშინ ჩემპიონატში დასვენების დღე იყო და მოჭადრაკე ქალებმა იგი ჯერ თბილისისა და მცხეთის ღირსშესანიშნაობების გაცნობას დაუთმეს, საღამოს ოპერისა და ბალეტის თეატრში წარმოდგენას დაესწრნენ.

გუშინწინ კი მაყურებლებით სავსე ჭადრაკის სასახლეში მოეწყო გადადებული და გამოტოვებული პარტიების დამთავრება.

მ. ჩიბურდანიძე შეხვდა X ტურიდან გამოტოვებულ პარტიაში ა. გრინფელდს, ც. კობაიძე — XI ტურიდან ე. სტუპინას. ორივე შეხვედრა დაუმთავრებელი დარჩა. მსოფლიო ჩემპიონი შეეცადა ტექნიკური ხერხებით მიეღო უპირატესობა, მაგრამ გრინფელდი წინდახედულად თამაშობდა და ბევრი ფიგურა გაცვალა. პარტია თანაბარ პოზიციაში გადაიდო. ასეთივე მდგომარეობაში შეწყდა კობაიძე—სტუპინას პარტიაც.

ორ-ორი პარტია ჰქონდათ დასამთავრებელი ნ. გაფრინდაშვილს და ნ. ალექსანდრიას, მ. ლიტინსკაიას კი სამი. ნონას ორივე პარტიაში თითო პაიკი აკლდა, მაგრამ ლ. მუჩნიკთან მან შეძლო ამ უპირატესობის გაქარწყლება და შეხვედრა ყაიმით დაამთავრა. ლიტინსკაიასთანაც შეუპოვრად იბრძოდა, მაგრამ საწადელს ვერ მიაღწია და დამარცხდა.

ალექსანდრია დილით ეთამაშა გრინფელდს და სწრაფად მოახდინა ორი ზედმეტი პაიკის რეალიზება. მერე შეხვდა ლიტინსკაიას. ეს პარტია მთელ საღამოს გაგრძელდა. ლვოველ დიდოსტატს მცირე უპირატესობა (პაიკი) ჰქონდა, მაგრამ მისი გამოყენება შეუძლებელი აღმოჩნდა ალექსანდრიას მარჯვე დაცვის წყალობით. პარტია კვლავ გადაიდო. ამის გამო ლიტინსკაიას მესამე გადადებულ პარტიაში რ. პოპივოდასთან თამაში აღარ განახლებულა.

დილითვე, გადადებული პარტიების დამთავრებისას, სტუპინამ სძლია ვორონოვას, ლ. ზაიცევამ — გრინფელდს. დაზავდნენ ე. ფატალიბეკოვა — ე. ახმილოვსკაია, ვორონოვა — მინოგინა და მუჩნიკ — ლიტინსკაია. საღამოს ლევიტინამ დაამარცხა ვორონოვა.

ამრიგად, დაუმთავრებელი დარჩა 7 შეხვედრა. სატურნირო ცხრილში კი ასეთი მდგომარეობაა: ი. ლევიტინა — 8,5, მ. ჩიბურდანიძე — 8 (2), ნ. ალექსანდრია—8 (1), ნ. გაფრინდაშვილი — 7,5, ლ. სემიონოვა, ლ. ზაიცევა — 7-7, თ. მინოგინა — 6(1), ლ. მუჩნიკი — 6, ლ. ლიტინსკაია — 5,5 (2), ე. სტუპინა — 5,5 (1), ლ. ბელავენეცი — 5,5, ე. ახმილოვსკაია — 4,5, ე. ფატალიბეკოვა, რ. პოპივოდა, ვ. კოზლოვსკაია — 4-4 (1-1), ტ. ვორონოვა — 4, ა. გრინფელდი — 3,5 (2), ც. კობაიძე — 2 (2).

დღეს XIII ტურით ჩემპიონატის ფინიში დაიწყება. ლიდერების მეტოქეები არიან: ჩიბურდანიძის — ბელავენეცი, ლევიტინას — კობაიძე, ალექსანდრიას —პოპივოდა, გაფრინდაშვილის — კოზლოვსკაია და ლიტინსკაიას — ახმილოვსკაია.

სათამაშო დარჩა 5 ტური.

თ. გიორგაძე.

● ჭადრაკი

დარჩა ოთხი ტური

გუშინწინ მოჭადრაკე ვაჟთა 47-ე საკავშირო ჩემპიონატში, რომელიც მინსკში მიმდინარეობს, გადადებული პარტიების დამთავრება მოეწყო. მაგრამ მის შედეგებს ლიდერთა განლაგებაში არსებითი ცვლილებები არ შეუტანია.

გ. კასპაროვს ი. ანიკაევის მოულოდნელი სვლა გამოეპარა და დამარცხდა. ეს იყო ანიკაევის პირველი გამარჯვება ამ ჩემპიონატში.

ყაიმით დამთავრდა ი. რაზუვაევ — ა. იუსუპოვის, ს. დოლმატოვ — მ. ტალის პარტიები. ე. სვეშნიკოვს მოუგო ა. ბელიავსკიმ. დაზავდნენ ნ. რაშკოვსკი — რ. ვაგანიანი.

შედგა აგრეთვე ვ. ცეშკოვსკი — თ. გიორგაძის გამოტოვებული პარტია, მაგრამ იგი დაუმთავრებელი დარჩა. შეწყვეტილ პოზიციაში უპირატესობა ქართველ დიდოსტატს აქვს.

დასკვნითი ოთხი ტურის წინ ლიდერობს ე. გელერი — 8,5 ქულა.

ლიტველი ოსტატის წარმატება

პოლონეთის ქალაქ ბელოსტოკში გამართულ ვაჟთა საერთაშორისო ტურნირში (შვეიცარიული სისტემით) გაიმარჯვა ლიტველმა ოსტატმა ა. ბუტნორიუსმა. მას ქულა-ნახევრით ჩამორჩა პოლონელი რ. ხასი. III-VII ადგილები გაიყო ვეტერანმა, ლიტველმა საერთაშორისო ოსტატმა ვ. მიკენასმა.

□

ისევ უძლიერესების გარეშე

ბუდაპეშტში დამთავრდა უნგრეთის ვაჟთა ჩემპიონატი, რომელშიც ცნობილი უძლიერესი დიდოსტატები არ მონაწილეობდნენ. ჩემპიონის სახელი კვლავ საერთაშორისო ოსტატმა ი. პინტერმა მოიპოვა — 10,5 ქულა 15-დან. II-III ადგილები გაიყვეს დიდოსტატმა ი. ფარაგომ და საერთაშორისო ოსტატმა ლ. ხაზაიმ — 9,5-9,5.

● ჰოკეი

„იზვესტიის“ პრიზი — მასპინძლებს

გუშინ მოსკოვში დამთავრდა გაზეთ „იზვესტიის“ პრიზის გათამაშება. ასპარეზობის უკანასკნელ დღეს ფინეთისა და კანადის ჰოკეისტთა მატჩი დამთავრდა „საფეხბურთო“ ანგარიშით — [illegible]:0. გადამწყვეტი იყო საბჭოთა ნაკრების შეხვედრა ჩეხოსლოვაკიის გუნდთან. დაძაბულ ორთაბრძოლაში მასპინძლებმა დაამარცხეს მეტოქენი — 3:2 და გაზეთის მთავარი პრიზიც მოიპოვეს. დანარჩენი ადგილები ასე განაწილდა: ჩეხოსლოვაკია, ფინეთი, შვეცია, კანადა.

● კრივი

ახალგაზრდები უტევენ

ერევანში მიმდინარეობს წლის ბოლო დიდი შეჯიბრება — მოკრივეთა შეხვედრები სსრ კავშირის აბსოლუტურ ჩემპიონობაზე. ქვეყნის 10 ქალაქის 12 მოკრივეს შორის მაყურებლებმა იხილეს სსრ კავშირის ოთხგზის აბსოლუტური ჩემპიონი მოსკოველი ე. გორსტკოვი, ალმაათელი ვ. სკუბა, ვოლგოგრადელი ა. ტირინი, მოსკოველები მ. სუბოტინი, ფ. ალბოროვი, ცელინოგრადელი რ. კასპერი და სხვები. პირველი დღის შეხვედრებში რ. კასპერმა ქულებით წააგო მ. ნიკიფოროვთან (უსტ-კამენოგორსკი), ვ. კოვალენკომ (კიევი) — ე. ბერესტიუკთან, ფ. ალბოროვმა — მ. სუბოტინთან. აშკარა უპირატესობის გამო ვ. სკუბას გამარჯვება მიენიჭა ა. ტირინთან.

მეორე დღის სენსაცია იყო ე. გორსტკოვის წაგება 21 წლის ერევნელ ა. პოღოსიანთან: მეორე რაუნდში პოღოსიანმა უძლიერესი დარტყმით ნოკაუტში გაგზავნა მეტოქე.

აბსოლუტური ჩემპიონი ცნობილი გახდება 23 დეკემბერს.

მაღალ დონეზე ჩავატაროთ მორიგი რეიდი

მიმდინარე წლის დეკემბრიდან მომავალი წლის მარტამდე ტარდება მორიგი საკავშირო რეიდი მშდ კომპლექსის ნორმატივების და მოთხოვნების ჩაბარების ხარისხის შესამოწმებლად.

საქართველოს სპორტკომიტეტში შეიქმნა მშდ რესპუბლიკური ინსპექციის ბრიგადები. მათ დაევალა ადგილებზე შეამოწმონ სპორტკომიტეტების, სპორტულ საზოგადოებათა საბჭოებისა და საუწყებო ფიზკულტურული ორგანიზაციების მშდ ინსპექციების, აგრეთვე ფიზკულტურის კოლექტივებისა და სპორტული კლუბების მშდ ინსპექტორთა ჯგუფების საქმიანობა — როგორ ასრულებენ ისინი თავიანთ მოვალეობას, როგორ იყენებენ კონტროლის უფლებებს, როგორ ეხმარებიან მშდ კომისიებს და როგორ ახორციელებენ მეთვალყურეობას მოთხოვნებისა და ნორმატივების ჩაბარების ხარისხზე.

პირველ რიგში რეიდის ჩატარება უნდა დავიწყოთ სასწავლო დაწესებულებებიდან (ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები, ტექნიკუმები, უმაღლესი სასწავლებლები), სადაც მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარება უკვე სავალდებულო ხდება ცალკეული ასაკობრივი კატეგორიების მიხედვით.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია ერთხელ კიდევ შევახსენოთ ადგილობრივ ორგანიზაციებს, თუ როგორ უნდა წარმართონ მშდ ინსპექტორთა ჯგუფების საკონტროლო მუშაობა სპორტულ კლუბებსა და ფიზკულტურის კოლექტივებში.

როგორც წესი, ინსპექტორთა ჯგუფებმა (შემადგენლობა სულ ცოტა, 5 კაცი) ყოველწლიურად, საანგარიშო წლის ბოლოს ან მომდევნო წლის დასაწყისში, უნდა ჩაატარონ მშდ ნორმატივებისა და მოთხოვნების მთლიანად ჩამბარებელთა სულ ცოტა, 10 პროცენტის გადამოწმება ცალკეულ პირთა ამორჩევით ცალკეული საფეხურების მიხედვით, სათანადო ოქმის შევსებით. ოქმის სისწორეს ადასტურებს ინსპექტორთა ჯგუფის სულ ცოტა, სამი წევრი. იმ შემთხვევაში, თუ გადამოწმებისას გამოვლინდა სიყალბის ფაქტები (ზოგიერთმა ნიშნოსანმა ვერ გაიმეორა ნორმატივი ან ძალზე დიდი სხვაობა აღმოჩნდა, გამოავლინა თეორიული მოთხოვნების სრული უცოდინარობა), ინსპექტორთა ჯგუფი ამის შესახებ წერილობით აცნობებს ადგილობრივ მშდ კომისიას, კომისია კი, სათანადო ზომების მისაღებად — ზემდგომ ინსტანციას.

იმისათვის, რომ რეიდი ჩატარდეს მაღალ დონეზე, საქალაქო, ადგილობრივმა სპორტკომიტეტებმა დროულად დააყენონ საკითხი ხელმძღვანელ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში რეიდის შტაბების შესაქმნელად, შტაბებმა ოპერატიულად ჩაატარონ რეიდები, რომლის მუშაობაში ფართოდ უნდა ჩაბან ქალაქისა და რაიონის აქტივი.

ა. დოკვაძე,
საქართველოს სახელმწიფო ფიზკულტურის ინსტიტუტის დოცენტი, მშდ რესპუბლიკური ინსპექციის თავმჯდომარე.

შრომაშიც, სპორტშიც

ტყვიაველ კოლმეურნეებთან

ლადო კეცხოველის სახელობის **სოფელ ტყვიავის** მეხილეობის კოლმეურნეობა ერთ-ერთი მოწინავეა გორის რაიონში. კოლმეურნეობამ საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში ზედიზედ სამჯერ მოიპოვა გარდამავალი წითელი დროშა. ტყვიაველთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ წლეულსაც სანაქებოდ იშრომეს და სახელმწიფოს ხუთიათას ტონაზე მეტი ხილი ჩააბარეს, გაცილებით მეტი, ვიდრე გეგმით იყო გათვალისწინებული.

შრომის ფერხულში ჩაბმულ ახალგაზრდობას უყვარს სპორტი. ბევრი მათგანი სხვადასხვა სპორტულ სექციაშია გაერთიანებული. უკვე მეოთხე წელია, რაც ტყვიავის კოლმეურნეობის ფიზკულტურელებს სპორტის ოსტატი **ალეკო ქურთაული** თავკაცობს და, უნდა ითქვას, მშვენივრადაც. აკი გორის „კოლმეურნეს" რაისაბჭოს თავმჯდომარემ **გურამ მარგველაშვილმა** ჩვენს შეკითხვაზე, თუ რომელი კოლექტივია რაიონში ყველაზე მოწინავე, სწორედ ტყვიავის კოლმეურნეობა დაგვისახელა.

მათთან ტრადიციად დამკვიდრდა კოლმეურნეობის ყოფილი თავმჯდომარის, შრომის წითელი დროშის ორდენოსნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის პიმენ ჩიხლაძის სახელობის გარდამავალი თასის ჩატარება ქართულ ჭიდაობაში, სადაც აქაურ ფალავნებთან ერთად მონაწილეობენ გორის რაიონის სხვა სოფლების წარმომადგენლებიც, აგრეთვე, საგარეჯოელი, ქარელელი და კასპელი მოჭიდავეები.

მოსწავლეთა ზაფხულის არდადეგების პერიოდში ტყვიაველ კოლმეურნეებს შეფობას უწევენ თბილისელი თანატოლები, რომლებიც ხეხილის მოვლასა და ტარის დამზადებაში ეხმარებიან მათ. სწორედ იმ დღეებში, კვირაობით იმართება ასპარეზობანი ქართულ ჭიდაობაში, ფრენბურთში და კალათბურთში. ამ შეჯიბრებებში თბილისელ და ტყვიაველ მოსწავლეებთან ერთად გამოდიან უფროსი ასაკის, ზოგჯერ 60-65 წლის „ბერმუხებიც". მათი პაექრობების საყურებლად კი უამრავი ხალხი იყრის თავს.

საერთოდ, სოფელში კარგად მუშაობს ჭიდაობის, მძლეოსნობის, ფრენბურთის, ფეხბურთის, კალათბურთისა და ჭადრაკის სექციები.

კოლმეურნეობის 200 ფიზკულტურელიდან 60 თანრიგოსანია. სოფელს ჰყავს 3 სპორტის ოსტატი, 2 ოსტატობის კანდიდატი და 12 პირველთანრიგოსანი.

ტყვიაველი სპორტსმენები მონაწილეობენ როგორც სოფლის, ისე რაიონულ სპარტაკიადებზე და პირველობებში. აქაური სპორტსმენები რაიონის ჩემპიონები არიან ქართულ ჭიდაობაში, ფრენბურთსა და მშდ-ს მრავალჭიდში.

გ. დოლენჯაშვილი.
(ჩვენი სპეც. კორ.).
სოფ. ტყვიავი,
გორის რაიონი.

●

სურათებზე: კროსი ტყვიავის მიდამოებში; ა. ქურთაული მოჭიდავეებთან ვარჯიშზე; ფრენბურთელები მორიგი ვარჯიშიდან ბრუნდებიან; მიმდინარეობს კოლმეურნეობის პირველობა ჭადრაკში.

ავტორის ფოტოები.

●

● სარედაქციო ფოსტა

ასე ხომ არ აჯობებდა?

გადავწყვიტე მომეწერა ყოველდღიურად 11 საათზე საქართველოს რადიოგადაცემის — „ვარჯიში ბავშვებისათვის" თაობაზე და, ვფიქრობ, ზედმეტად არ უნდა გაწუხებდეთ.

ცნობილია, რომ ჩვენი საუკუნე ე. წ. „მოძრაობის შიმშილის" საუკუნედაც იწოდება. მთელ რიგ ქვეყნებში სხვადასხვა ღონისძიების პარალელურად შემოღებულია დღეში ორჯერ (და ზოგან სამჯერაც) 5-10-წუთიანი ე. წ. ფიზკულტპაუზების, ანუ საწარმოო გამამხნევებელი ვარჯიშის გადაცემები როგორც ცენტრალური, ასევე ადგილობრივი რადიოკვანძების მეშვეობით. მათ დადებითი ეფექტი მოაქვთ მუშა-მოსამსახურეთა და საერთოდ ყველას ჯანმრთელობის, ჯანსაღი ტონუსის შენარჩუნებისა და შრომის ნაყოფიერების ამაღლებაში.

ამიტომ, ვფიქრობ, სწორი არაა ზემოხსენებული ჩვენი რადიოგადაცემის მხოლოდ ბავშვებისათვის გამიზნვა. შესაძლებლად მიმაჩნია გამამხნევებელი ვარჯიშების უნივერსალური კომპლექსების შერჩევა ყველა ასაკის „მოსარგებად". განა არ აჯობებდა ყოველდღიურად გადაცემულიყო „გამამხნევებელი ვარჯიში ყველასათვის"? სასწავლებლებში, წარმოება-დაწესებულებებში დროის ეს მონაკვეთი სასურველია დაემთხვეს პაუზა-შესვენების წუთებს. ცხადია, მტკიცება არ საჭიროებს, რომ ამ მიზნისათვის დროის დათმობა გაცილებით მეტ უკუგებას გულისხმობს.

კიდევ ერთი შენიშვნა. მახსოვს, ამ 30 წლის წინათ დილის ვარჯიშებს თან ახლდა აკორდეონის აკომპანემენტი. ურიგო არ იქნება, ვარჯიშები ახლაც ტარდებოდეს ქართული გარმონის აკომპანიმენტით ისევე, როგორც ტარდება ხოლმე მეცადინეობები ქართულ ცეკვაში.

ინჟინერი
ა. ნათლიაშვილი.

□

დღემდე არ ჩანს

განვლილი აგვისტოს დასაწყისში ცხინვალში მიმდინარეობდა „ტყავის ბურთის" რესპუბლიკური გათამაშება ფეხბურთში, სადაც ქუთაისის № 3 საუბნო-საექსპლოატაციო კანტორის გუნდმა „იმერეთმა" პირველი ადგილი მოიპოვა.

ამ წარმატებისთვის ნორჩ ფეხბურთელებს ერგებოდათ მედლები და დიპლომები, მაგრამ გადიოდა დრო, ჯილდოებს კი არავინ აძლევდა ბავშვებს. ბოლოს, როგორც იქნა, მედლები დაურიგეს „იმერეთის" წევრებს, დიპლომები კი დღემდე არ ჩანს.

პატივცემულო რედაქცია, გთხოვ დაგვეხმარებოთ, რათა ბავშვებს წესისამებრ გადაეცეთ სათანადო დიპლომები.

ქუთაისის „იმერეთის" ნორჩ ფეხბურთელთა მშობლები.

7 სახეობაში

ქობულეთში ორ თვეს მიმდინარეობდა რაიონის სოფლის მეურნეობის მუშაკთა პროფკავშირების პირველი სპარტაკიადა, რომლის პროგრამაში სპორტის შვიდი სახეობა შედიოდა.

ჭადრაკსა და შაშში პირველი ადგილები ბობოყვათის კოლმეურნეობის წარმომადგენლებმა დაიკავეს, მშდ-ს მრავალჭიდში კი ყველას აჯობეს ი. ბ. სტალინის სახელობის „საპატიო ნიშნის" ორდენოსანი ოჩხამურის მეჩაიეობის საბჭოთა მეურნეობის წარმომადგენლებმა. ფრენბურთელთა ასპარეზობაში გამარჯვებული გამოვიდა ქვედა აჭყვას კოლმეურნეობის გუნდი (ვაჟთა შორის), ხოლო ქალთა შორის საუკეთესო იყო ჩაქვის მეჩაიეობის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივი. ლელობურთში უძლიერესნი იყვნენ ხუცუბნის კოლმეურნეობის სპორტსმენები, ხელბურთში — ქობულეთის მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის წარმომადგენლები.

მაგიდის ჩოგბურთელთა ფინალური ასპარეზობა აჭყვას საშუალო სკოლის სპორტულ დარბაზში ჩატარდა. ამ გამარჯვებისთვის დაწესებული სპეციალური სამახსოვრო პრიზი ქვედა აჭყველებს სკოლის დირექტორმა მ. ჯიჯავაძემ გადასცა.

საერთო გუნდური პირველი ადგილი და სპარტაკიადის ჩემპიონობა მოიპოვა ვ. ი. ლენინის სახელობის ჩაქვის მეჩაიეობის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივმა (ფიზკულტურის მეთოდისტები დ. ყურშუბაძე და რ. ბასილია). მეორე ადგილზე გავიდა ქვედა აჭყვას კოლმეურნეობა „წითელი ოქტომბერი" (ფიზკულტურის მეთოდისტი თ. ბოლქვაძე), ხოლო მესამეზე — ი. ბ. სტალინის სახელობის ლენინის ორდენოსანი ხუცუბნის კოლმეურნეობა (მეთოდისტი დ. ნინიძე).

სპარტაკიადამ ცალკეულ მიღწევებთან ერთად ნაკლიც გამოავლინა. არასაკმარისი იყო მონაწილე ქალთა გუნდების რაოდენობა. ზოგიერთი გუნდი კი მთლიანად არ იყო დაკომპლექტებული. სამწუხაროდ, ამ ასპარეზობაში არ მიიღეს მონაწილეობა ხალას, ზედა კვირიკეს, ალამბრის, ლეღვასა და ქვედა ულიანოვკას კოლმეურნეობების გუნდებმა.

ლ. ტრაპაიძე.
ქობულეთი.

მ ო კ ლ ე დ

□ ლანჩხუთი

დამთავრდა დოსააფის ლანჩხუთის რაიონული კომიტეტის სპარტაკიადა. პროგრამაში 6 სახეობა შედიოდა. კომპლექსურ ჩათვლაში 81 ქულით საერთო გუნდური I ადგილი დაიკავა და სპარტაკიადის მთავარი პრიზის მფლობელი გახდა ლანჩხუთის № 1 საშუალო სკოლის (დირექტორი გ. ხალვაში) კოლექტივი. II ადგილზე (67 ქულა) გავიდა ნიგოითის საშუალო სკოლის ნაკრები, III ადგილი წილად ხვდათ ლანჩხუთის № 2 საშუალო სკოლის წარმომადგენლებს.

ი. ებრალიძე,
დოსააფის რაიკომის თავმჯდომარე.

□ ბოლნისი

ფიზკულტურის კოლექტივების 12 გუნდი ეცილებოდა ერთმანეთს სარაიონო პირველობას ფეხბურთში.

წარმატებით იასპარეზა ბოლნისის მეფრინველეობის ფაბრიკის გუნდმა, რომელმაც შეძლო პირველობის მოპოვება.

საინტერესოდ მიმდინარეობდა რაიონის თასის გათამაშებაც ფეხბურთელთა შორის. სოფ. რაჭისუბნის გუნდმა ფინალში დაამარცხა ბოლნისის საქსოფლტექნიკის წარმომადგენლები.

□ დმანისი

დამთავრდა რაიონის პირველობა ფეხბურთში, რომელშიც მონაწილეობდა 14 კოლექტივი.

უძლიერესის სახელი წილად ხვდა სოფ. განთიადის მეურნეობის გუნდს. ამავე გუნდის ფეხბურთელებმა წარმატებით ითამაშეს თასზე და მოიპოვეს იგი.

შ. დევნოზაშვილი.

□ ჩოხატაური

საინტერესოდ ჩატარდა თასის გათამაშება ფეხბურთში, რომელშიც მონაწილეობდა რაიონის საწარმო-დაწესებულებათა, კოლმეურნეობებისა და სასწავლებლების 16 გუნდი.

ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ რაიკოოპკავშირის „კოოპერატორი" და საფინანსო განყოფილების „ფინანსისტი". მატჩის ბედი გადაწყვიტა ერთადერთმა გოლმა, რომელიც „კოოპერატორმა" გაიტანა მეტოქის კარში.

ვ. ზამბახიძე.

● კლასიკური ჭიდაობა ● საერთაშორისო შეხვედრა ●

აი, ტიტულები კი...

დასასრული

მატჩის ასეთი მსვლელობის შემდეგ ეჭვი აღარავის ეპარებოდა, რომ სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადის ჩემპიონი 100 კგ წონით კატეგორიაში მიხეილ სალაძე აუცილებლად დაამარცხებდა ევროპის ჩემპიონატის პრიზიორს ანდრე ვასილიუს. მიხეილმა გაამართლა იმედი და 5 წუთსა და 52 წამში წმინდა გამარჯვებით კიდევ უფრო დააწინაურა გუნდი — 7:1.

მატჩი სტუმრებს, რა თქმა უნდა, წაგებული ჰქონდათ, მაგრამ მძიმე წონაში გამარჯვებას მათთვის ცოტაოდენი შვება მაინც შეეძლო მოეტანა. აქ რუმინეთის ნაკრების სახელს ვიქტორ დოლიპტსკი (140 კგ) იცავდა. მისი მეტოქე ავთანდილ მაისურაძე (მწვრთნელი ვ. მაისურაძე), მართალია მეტოქეზე 30 კგ-ით ნაკლებს იწონის, მაგრამ ეს რომ გადამწყვეტი ფაქტორი არ არის, სსრ კავშირის აბსოლუტურმა ჩემპიონმა მშვენივრად იცოდა. როგორც უკვე ვთქვით, სტუმრებმა ყველა ღონე იხმარეს. მაყურებელი ერთი საინტერესო სცენის მოწმეც კი გახდა. პირველი პერიოდის შემდეგ წუთიან შესვენებაზე დოლიპტსკის სეკუნდანტად ჰყავდა... ალექსანდრუ, ერთადერთი გამარჯვებული რუმინელთაგან. კაცს უთუოდ მოგვრიდა ღიმილს იმის ცქერა, თუ რა თავგამოდებით უზელდა კუნთებს 48 კილოგრამიანი სპორტსმენი მთასავით ათლეტს. ვერც ამან გაჭრა. მას შემდეგ, რაც ავთანდილი 5 ქულით დაწინაურდა, არბიტრმა მესამე გაფრთხილება მისცა დოლიპტსკის (სხვათაშორის შეხვედრას რუმინელი მსაჯობდა) და ეს საინტერესო მატჩიც დამთავრდა — 8:1.

ორიოდე სიტყვა ჩვენს გუნდზე. საქართველოს „კლასიკოსთა“ ნაკრები ძალზე კარგად გამოიყურება. თუმცა, ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში მათ მიმართ თუნდაც ერთი საყვედურის თქმაც კი უსამართლობა იქნებოდა. გუნდი დაეუფლა სსრ კავშირის თასს, ჰყავდა რამდენიმე ჩემპიონი და თანაბრად, ჩავარდნების გარეშე იასპარეზა სპარტაკიადაზეც, რასაც ვერ ვიტყვით ჭიდაობის სხვა სახეების წარმომადგენლებზე. ეს ყველაფერი ბუნებრივია, ნაკრების მწვრთნელის დავით დავითაიას დამსახურებაც არის.

ახლა, წერილის დასაწყისს დავუბრუნდეთ. რა თქმა უნდა, რომ იმ დღეს სპორტის სასახლეში მოსულ ჭიდაობის მოყვარულს კმაყოფილების მეტი არაფერი უნდა გაჰყოლოდა შინ. თითქოსდა ასე უნდა ყოფილიყო. მაგრამ ამ სტრიქონების ავტორი და ალბათ ბევრი სხვაც, არ შეიძლება, არ დაფიქრებულიყო ერთ უცნაურობაზე. ევროპის ჩემპიონი (!) რუმინეთის გუნდი თითქმის მთლიანად მსოფლიო ჩემპიონებისა და პრიზიორებისგან შედგება. ამ თვალსაზრისით ჩვენსა და მეტოქეს შორის უზარმაზარი სხვაობაა. უშუალოდ ხალიჩაზე კი ყველაფერი პირიქით იყო — ჭიდაობაზე პირველად მოხვედრილი კაცი უთუოდ იფიქრებდა, მასპინძლების გუნდი, მსოფლიოში ალბათ ერთ-ერთი საუკეთესო, ახალბედებს ცდისო. არადა ეს მართლაც ასეა — საქართველოს კლასიკური სტილის მოჭიდავეთა ნაკრები მართლაც ერთ-ერთი საუკეთესოა მსოფლიოში. აი, ტიტულები კი...

გ. ირემაძე.

...ЛЯЕТСЯ В ВЕКАХ НЕРАСТОРЖИМАЯ ДРУЖБА



სურათებზე: ვ. ბლაგიძისა და ნ. ჯინგას შეხვედრის მომენტი (მარჯვნივ); ა. მაისურაძემ ბევრი უსიამო წამი განაცდევინა რუმინელ ვ. დოლიპტხკის.

ა. კოტორაშვილის ფოტოები.

● ხელბურთი

მეორე წარმატება

გფრ-ის ქალაქ დორტმუნდში ხელბურთელ ვაჟთა გუნდების საერთაშორისო ტურნირზე „სუპერთასის“ მოსაპოვებლად სსრ კავშირის ნაკრებმა გუნდმა მეორე გამარჯვება მოიპოვა, ამჯერად, ჩეხოსლოვაკიის გუნდთან — 16:10. გფრ-ის ნაკრებმა სძლია შვედებს — 15:12. მანამდე შვედებმა დაამარცხეს რუმინელები — 20:19, ხოლო იუგოსლავიელებმა — ჩეხოსლოვაკიელები 19:17.

● ტანვარჯიში

თასები — ღირსეულთ

გ. ეგნატაშვილის სახელობის ოლიმპიური რეზერვის ტანვარჯიშული სკოლის სპორტულ დარბაზში დამთავრდა საქართველოს თასის გათამაშება სპორტულ ტანვარჯიშში. როგორც ვიუწყებოდით, სავალდებულო პროგრამის შემდეგ ვაჟებში დამაჯერებლად ლიდერობდა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი მ. თათარაძე (ასკ). მან ნებისმიერი პროგრამაც მაღალ დონეზე შეასრულა—111,45 ქულა დააგროვა და რესპუბლიკის თასი მოიპოვა. გამარჯვებულმა ტაიჭზე რთული და ორიგინალური კომბინაციებისთვის საქართველოს სპორტკომიტეტის პირველი ხარისხის დიპლომი და ფასიანი საჩუქარიც დაიმსახურა. მრავალჭიდის ჯამში II ადგილზე გავიდა განთიადელი პ. ლეონტიევი — 107,2 ქულა, მესამე იყო განათლების სამმართველოს წარმომადგენელი კ. სულთანიშვილი — 104,1 ქულა.

არანაკლებ დაძაბული ბრძოლა გაჩაღდა თასისთვის ქალთა შორისაც. განთიადელი ე. გოლოვატენკო, რომელიც თასის შარშანდელი მფლობელია, 0,2 ქულით ჩამორჩა თანაგუნდელ ა. ბაბასიანს. თასის მფლობელის მაჩვენებელია 74,65 ქულა. III ადგილზე გავიდა დინამოელი ი. ხატიაშვილი — 71,3. იუნიორთა შორის გაიმარჯვეს: გოგონებში — მ. ხუციშვილმა (თბილისის განათლების სამმართველო), ხოლო ვაჟებში — ვ. გოგოლაძემ („ლოკომოტივი“).

ა. ზენკო.

● სამბო

17 გუნდის მონაწილეობით

სამტრედიაში დამთავრდა რესპუბლიკის ჭაბუკ სამბისტთა პირველობა, რომელშიც 17 გუნდის 173 მოჭიდავე მონაწილეობდა. საუკეთესო იყო თბილისის ნაკრები (მწვრთნელები— გ. ხაჩიძე და ი. მჭედლიძე). II ადგილი წილად ხვდათ ქუთაისელებს, III — აჭარის მოჭიდავეებს.

წონითი კატეგორიების მიხედვით გაიმარჯვეს: ი. ჩიხლაძემ (სოხუმი), ბ. ბასილაშვილმა (საგარეჯო). ტ. მარგიშვილმა, შ. ჩეკურიშვილმა (ორივე — ახმეტა), გ. ჭიკაძემ (თელავი). მ. მოდებაძემ, ჯ. ტატუაშვილმა, დ. ხაჩიძემ, გ. ბერუაშვილმა, ა. ხაჩიძემ (ყველა — თბილისი) და გ. გოგოლაშვილმა (სოხუმი).

გამარჯვებულთაგან სპეციალისტები აღნიშნავენ გ. ჭიკაძის, მ. მოდებაძისა და დ. ხაჩიძის გამოსვლებს.

გ. თათეიშვილი.

ნიკი ლაუდა მიდის

ავსტრიელი ნ. ლაუდა პირველი ფორმულის ავტომანქანების კლასის მრბოლელთა, და საერთოდ, სპორტსმენთა იმ ელიტას მიეკუთვნება, რომელმაც პროფესიონალური სპორტისთვის დამახასიათებელი კვალი დატოვა სპორტის ამ მეტად მამაცურ და სახიფათო სახეობაში. ლაუდა ორჯერ იყო მსოფლიოს ჩემპიონი და რამდენჯერმე — „გრან-პრის“ მფლობელი.

ახლახან სპორტის ამ სახეობის მოყვარულთათვის ცნობილი გახდა, რომ 32 წლის პროფესიონალმა მრბოლელმა გადაწყვიტა დატოვოს სპორტული სარბიელი. ზოგიერთისთვის დღემდე გაუგებარია, თუ რატომ მიიღო ლაუდამ ეს გადაწყვეტილება. მრბოლელი ხომ მშვენიერ სპორტულ ფორმაში იყო და ჯერ კიდევ შეეძლო მოეპოვებინა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული.

ამ ნაბიჯის გადადგმის შემდეგ ნ. ლაუდამ ერთ-ერთ ბოლო პრესკონფერენციაზე განაცხადა: „მართალია, ზოგიერთს ნაადრევად მიაჩნია ჩემი სპორტიდან წასვლა, მაგრამ მართალი რომ ვთქვა, გადავიღალე. აბა წარმოიდგინეთ, მთელი დღის განმავლობაში მანქანის გამზადება რბოლისთვის. ნერვიულობა, დაძაბულობა, რისკი. ნუთუ ეს ცოტაა? ოჯახისთვის დრო საერთოდ არ მქონდა. არადა, შინ მეუღლე და ორი შვილი მეგულება. ორჯერ მოვიპოვე მსოფლიო ჩემპიონის სახელი, აღიარებული ვიყავი სპორტის ამ სახეობის ერთ-ერთ საუკეთესო სპორტსმენად, მოგებული მქონდა მრავალი რბოლა და პრიზი. ვფიქრობ, კმარა! თანაც მსურს დაუმარცხებელი გამოვეთხოვო დიდ სპორტს!“

წლევანდელი სეზონი უკვე დასრულდა, ჩემპიონის სახელი და „გრან-პრი“ მონტეკარლოელმა ჯოდი შექტერმა მოიპოვა. ყველაზე მეტი გამარჯვება — 4 ინგლისელმა ალან ჯონსმა იზეიმა. ვინ არის საუკეთესო მრბოლელი? ეს კითხვა მარტო წლევანდელი სეზონის შედეგებით არ განისაზღვრება. ეს კითხვა მას შემდეგ დაიბადა, რაც ცნობილი გახდა მსოფლიოს ერთ-ერთი აღიარებული ვარსკვლავის — ნიკი ლაუდას განზრახვა.

რომელი ადგილი უკავია ავსტრიელ სპორტსმენს მსოფლიოს საუკეთესოთა იერარქიაში? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა იკისრა ჯეკი სტიუარტმა, მსოფლიოში ცნობილმა ავტომრბოლელმა:

„ლაუდა იმ სპორტსმენთა რიცხვს ეკუთვნის, რომელიც ისტორიაში შევა. არც ერთ ავტომრბოლელს ასე დამაჯერებლად არ გაუვლია ესოდენ ძნელი გზა ჩემპიონის სახელის მოსაპოვებლად. მე სამჯერ ვიყავი მსოფლიო ჩემპიონი. ლაუდა — ორჯერ. მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს. მაკვირვებს ავსტრიელის ნებისყოფა და ხასიათის სიმტკიცე. ერთ-ერთი რბოლის დროს იგი ისე მძიმედ დაშავდა, რომ აღარავის ეგონა, თუ დაუბრუნდებოდა სპორტს. მაგრამ იგი... საავადმყოფოდან კვლავ მანქანაში გადაჯდა და სწორედ შარშან მეორედ მოიპოვა ჩემპიონობა. ასეთი რამ მანამდე არც ერთ მრბოლელს არ გაუკეთებია. ძნელია ალბათ როდესმე შეგხვდეთ ავსტრიელის მსგავსი.“

ლაუდას შესახებ ასეთივე აზრისანი არიან მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონები ჯიმი კლარკი, გრეჰემ ჰილი, სტირლინგ მოორი. „იგი არც ერთი მსოფლიო ჩემპიონის მემკვიდრე არ ყოფილა. მან ავტოსპორტის განვითარებაში მთელი ეპოქა შექმნა. იგი მხოლოდ ლეგენდარულ მანუელ ფანჯიოს შეიძლება შევადაროთ“. — ამბობს ჯ. სტიუარტი.

ლაუდა, არგენტინელ ხუთგზის მსოფლიო ჩემპიონს ფანჯიოს შემდეგ?

თუკი სტატისტიკას მოვიშველიებთ, მაშინ ფაქტები ლაუდას ერთობ „უხერხულ“ მდგომარეობაში ჩააყენებს: არიან მრბოლელები, რომლებიც გამოცდილებით, წარმატებით და რბოლის ხარისხით მასზე წინ არიან. ლაუდა მათ შორის არაა, ვინც ბევრჯერ გამოდის სტარტზე. იგი 113-ჯერ ჩაება ბრძოლაში. ამ მაჩვენებლებით ჩამორჩება გ. ჰილს, რომელიც 176-ჯერ მონაწილეობდა ტურნირებში. ე. ფიტიპალდის (128-ჯერ), ჯ. ბრაშჰემის (126-ჯერ), კ. რეგაცონის (126-ჯერ), რ. პეტერსონს (123-ჯერ). ლაუდა არ მიეკუთვნება „მოჯირითეთა“ ელიტას. მან მხოლოდ 24-ჯერ აჩვენა საუკეთესო დრო. მას უსწრებენ ჯ. კლარკი (33-ჯერ) და მ. ფანჯიო (27-ჯერ). ლაუდას 17-ჯერ აქვს მოგებული „გრან-პრი“. აქაც მას სამი მრბოლელი უსწრებს — ჯ. სტიუარტი (27-ჯერ), ჯ. კლარკი (25-ჯერ), მ. ფანჯიო (24-ჯერ). ქულების რაოდენობითაც ლაუდა ფანჯიოს (277 ქულა 51 რბოლაში). ჯ. სტიუარტის (360 ქულა 99-რბოლაში) და მოსის (186 ქულა 66 რბოლაში) შემდეგ მეოთხე ადგილზეა (286 ქულა 113 რბოლაში).

კი მაგრამ, თუ ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტები სწორია, მაინც რამ განაპირობა ლაუდას ესოდენ დიდი აღიარება? საქმე იმაშია, რომ იგი ავტორბოლაში ყველაზე მონოლითური და უდრეკი ხასიათის ფიგურაა. მისი დამსახურება სპორტის ამ სახეობის განვითარებისა და სრულყოფისთვის ერთობ დიდია. როგორც ჯ. სტიუარტი ამბობს, მან თავისი პიროვნებით შექმნა გარკვეული არეალი, რომლის ირგვლივ თვით მრბოლელები და მათი მეპატრონეები აღმოჩნდნენ. იგი მათ ერთგვარ მასწავლებლად მოევლინა.

ფანჯიოს მსგავსად ნ. ლაუდა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, არ მიეკუთვნება „მოჯირითეთა“ ელიტას. „გამარჯვებისთვის ყოველთვის არ არის საჭირო სწრაფი რბოლა. სიჩქარე სიტუაციასთან შეხამებით უნდა მოუმატო“ — ამბობს ავსტრიელი. იგი თავისი ინტელექტით ბევრად აღემატება ნამდვილ ავტომრბოლელისთვის დამახასიათებელ ელემენტებს. დღემდე ლაუდა ერთადერთია, რომელმაც ნიურნბერგის რკალზე (იგი ერთ-ერთ ყველაზე ძნელ, უხერხულ და სახიფათო რკალადაა აღიარებული) შვიდ წუთზე ნაკლები დრო აჩვენა.

ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა უკანასკნელ ოთხ წელიწადში ავტორბოლის განვითარებაში იყო ლაუდას მიერ მაქსიმალური მობილიზაციის ფაქტორი. ამ შემთხვევაში იგი ნამდვილად შეუდარებელია. „სისწრაფე ჩვენ თითქმის ყველას ერთი გვაქვს, მთავარია ტაქტიკური აზროვნება და, რასაკვირველია, თვით ავტომანქანის მდგომარეობა. ეს უკანასკნელი მე პირადად გამარჯვების ერთ-ერთ საწინდრად მიმაჩნია“.

აქ კი ლაუდა ყველასთვის მიუწვდომელია. რბოლის დროს იგი აკვირდება არა მარტო თავის ავტომანქანას, არამედ მოწინააღმდეგეთა ყოველ გადაადგილებას. მისთვის დამახასიათებელი ტექნიკური ინტელიგენტურობით ყოველი რბოლის შემდეგ ლაუდა დაწვრილებით უყვება ინჟინრებსა და მექანიკოსებს მანქანის დეტალურ გადაადგილებას, თვით მანქანის მდგომარეობას.

„ჩემი მიზანი იყო ავტომანქანის დეტალური გამოცდა. რაც უფრო ხშირად ვწვდებოდი მის საიდუმლოებებს, მით უფრო ადვილი იყო დეფექტის აღმოფხვრა და შემდგომი წარმატების მოპოვება“ — ამბობს ლაუდა.

„ლოტოსის“ ფირმის დირექტორი კ. ჩამპანი პირდაპირ აცხადებს: „პირველი ფორმულის ავტომრბოლელთა უმრავლესობა უკეთესისკენ იღვწის. ლაუდამ კი შექმნა სრულებით ახალი სისტემა. ასე რომ, მათთვის ლაუდა მრბოლელის სიმბოლოს წარმოადგენს“. „ნ. ლაუდა მსოფლიოს ყველა დროის საუკეთესო მრბოლელია. მას წელსაც შეეძლო მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის მოპოვება. ეს ყველამ კარგად ვიცით“, განუცხადა ჟურნალისტებს „ბრაბჰამის“ ფირმის დირექტორმა ბ. ეკლესტონმა.

მ. რადიანი.

სურათზე: ნ. ლაუდა.

წლიდან წლამდე სულ უფრო მაღლა იწევს სპორტულ მიღწევათა ქერი: მძლეოსნები სულ უფრო სწრაფად დარბიან, უფრო შორს და მაღლა ხტებიან, ბადროს. შუბს უფრო შორს ტყორცნიან. სპორტის მოყვარულები ახალ მიღწევებს რადიოს, ტელევიზიის, პრესის საშუალებით ოპერატიულად იგებენ, მაგრამ ბევრმა როდი იცის ამ წამების, სანტიმეტრებისთვის რა დიდი ფსიქოლოგიური ბარიერის დაძლევა უხდებათ ათლეტებს. მათი ყოველი სტარტი, ყოველი ნახტომი, ნატყორცნი დაკავშირებულია ღრმა განცდებთან, რომელიც კარგად ჩანს მ. დათიკაშვილის მიერ თბილისის „დინამოს" სტადიონზე „პრავდის" პრიზების საერთაშორისო გათამაშების დროს აღბეჭდილ ფოტოებზე. სიგრძეზე ხტომაში მორიგ ცდას ასრულებს სპორტის ოსტატი ი. ტიმოფეევა.

● თხილამურები

მთიან ბილიკებზე

გრძელდება სამთო მოთხილამურეთა საერთაშორისო ტურნირები და შეჯიბრებანი მსოფლიო თასების გათამაშების პროგრამით.

კრასნა-გორაში კარგად გამოვიდნენ საბჭოთა სპორტსმენები. ა. ჟიროვმა გიგანტურ სლალომში გამარჯვებულ ბ. კრიჟაისთან (იუგოსლავია, 1.53,51) მხოლოდ 2,22 წამი წააგო და VI ადგილი დაიკავა. მეორე დღეს სპეციალურ სლალომში იგი IV იყო—1.37,68. ამჯერადაც ყველას კრიჟაიმ აჯობა — 1.35,43.

მერე მორიგი სტარტები იტალიაში, ვალ-გარდენში და პიანკავალოში გაიმართა. ვალ-გარდენში ვაჟები სწრაფდაშვებაში ცდიდნენ ძალას. 3615-მეტრიან ტრასაზე იმარჯვა პ. მიულერმა (შვეიცარია) — 2.03,94. საბჭოთა სპორტსმენებიდან აქ საუკეთესო იყო ვ. ციგანოვი (XIX ადგილი).

პიანკავალოში ქალები შეეჯიბრნენ ერთმანეთს, ოღონდ ისინი 2820 მეტრზე ეშვებოდნენ. გამარჯვება მოიპოვა მ. ნადიგმა (შვეიცარია) — 1.41,29. მან 0,19 წამით ჩამოიტოვა მსოფლიო თასის მრავალგზის მფლობელი ა. მოზერ-პრიოლი (ავსტრია). სამაგიეროდ, პრიოლმა მოიგო სპეციალური სლალომი — 1.57,04.

ამ სტარტების შემდეგ შეჯამდა კომბინაციაში მორიგი შედეგები. ვაჟებისთვის ჯამში შედიოდა მადონა დი კამპილიოში გამართული გიგანტური სლალომი და ვალ-გარდენის სწრაფდაშვება. კომბინაციამ უპირატესობა მოუტანა პ. ლიუშერს (შვეიცარია). ვ. ციგანოვი V ადგილზე გავიდა.

ქალთა კომბინაციაში (გიგანტური სლალომი ლიმონე-პიემონტში და სწრაფდაშვება პიანკავალოში) უძლიერესი აღმოჩნდა ჰ. ვენცელი (ლიხტენშტეინი).

სადღეისოდ ვაჟთა შორის მსოფლიო თასისთვის მებრძოლთა სატურნირო ცხრილს ლიდერობს ი. სტენმარკი (შვეცია) — 75 ქულა. II ადგილზეა ბ. კრიჟაი — 55. ქალთა შორის ვენცელს 114 ქულა დაუგროვდა, პრიოლს — 107, ნადიგს — 100.

ევროპის ჩემპიონატი

II ჯგუფი

გლაზგო. აქ გაიმართა ევროპის ჩემპიონატის გადამწყვეტი შესარჩევი მატჩი II ჯგუფის გუნდებს — შოტლანდიასა და ბელგიას შორის. ბელგიელებმა მეტოქე დაამარცხეს ანგარიშით 3:1 (3:0) და გავიდნენ ევროპის ჩემპიონატის ფინალში. საინტერესოა აღინიშნოს, რომ შოტლანდიის ნაკრების კარში სამივე ბურთი 11 წუთში გაიტანეს ვან დენ ბურგმა და ვინ დერ ელსტმა (2). შოტლანდიელთაგან თავი გამოიჩინა რობერტსონმა.

ამრიგად, ახლა ცნობილია ევროპის ჩემპიონატის 7 მონაწილე: იტალია, ინგლისი, ბელგია, ჩეხოსლოვაკია, საბერძნეთი, ესპანეთი, ჰოლანდია. მერვე ფინალისტი შეიძლება გამოვლინდეს 22 დეკემბრის მატჩში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და თურქეთის გუნდებს შორის (შეხვედრა გაიმართება გელზენკირხენში).

გათამაშების საბოლოო ცხრილი II ჯგუფში ასეთია:

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
ბელგია	8	4	4	0	12—5	12
ავსტრია	8	4	3	1	14—7	11
პორტუგალია	7	4	1	2	9—7	9
შოტლანდია	7	2	1	4	11—12	5
ნორვეგია	8	0	1	7	5—20	1

მოკლედ

ჰანოი. ვიეტნამის სახალხო არმიის 35 წლისთავისადმი მიძღვნილ საერთაშორისო ტურნირში მეორე მატჩი ჩაატარეს ლვოვის არმიელმა ფეხბურთელებმა. მათ ქ. ხოშიმინში დაამარცხეს ანგოლის არმიელთა ნაკრები —2:1.

ჩეხოსლოვაკიის არმიელებმა მოუგეს ვიეტნამის სახალხო არმიის II ნაკრებს — 2:0, ხოლო ჰანოის ახალგაზრდულმა ნაკრებმა — პოლონეთის გუნდს — 2:1.

ხაიფონში ვიეტნამის სახალხო არმიის I ნაკრების შეხვედრა უნგრელ ფეხბურთელებთან დამთავრდა ფრედ — 1:1.

ტუნისი. აქ გაიმართა ამხანაგური საერთაშორისო მატჩი ტუნისის ფეხბურთელთა ნაკრებსა და ბულგარეთის ცსკა „სეპტემვრიისკო ზნამეს" შორის. ფრე — 1:1.

უცხოეთის ფეხბურთის ამბები

ბულიანი ტრავმირებულია

„ჰამბურგის" მოიერიშე მცველი, 29 წლის ივან ბულიანი ერთ-ერთ უკანასკნელ მატჩში გფრ-ის პირველობაზე მძიმედ დაშავდა. ექიმები ვარაუდობენ, რომ ტრავმის მოშუშებას დაახლოებით სამი თვე დასჭირდება. „ასეთ პირობებში მუშაობა ძალზე ძნელია, მაგრამ ბულიანის ტრავმამ პანიკაში არ უნდა ჩაგვაგდოს. ჩვენ გუნდის მომავალზე უნდა ვიზრუნოთ, გვჭირდება ახალი ფეხბურთელები", — ამბობს გუნდის მწვრთნელი ბ. ზებეცი.

სავარაუდო განთესვა

როგორც ცნობილია, 1980 წლის 26 დეკემბრიდან 1981 წლის 10 იანვრამდე მონტევიდეოში გაიმართება საინტერესო საფეხბურთო ტურნირი ყოფილი მსოფლიო ჩემპიონების მონაწილეობით. ამ ტურნირის მომწყობმა კომისიამ განაცხადა, რომ სავარაუდო განთესვა შემდეგ სახეს მიიღებს: პირველ ჯგუფში ითამაშებენ გფრ, ბრაზილია, ჰოლანდია (ინგლისის ნაცვლად), მეორეში — ურუგვაი, არგენტინა და იტალია.

მოიტაცეს კლუბის პრეზიდენტი

ვენეციაში უცნობმა პირებმა მოიტაცეს ფეხბურთის სამოყვარულო კლუბის „სც სტრას" 42 წლის პრეზიდენტი დიეგო როსი. ანონიმური წერილის თანახმად, უცნობებმა როსის გამოსასყიდად 1,2 მილიონი დოლარი მოითხოვეს.

კლუბებს იცვლიან

ბუნდესლიგის ერთ-ერთმა წამყვანმა ფეხბურთელმა ჰ. ვოლფერსმა და ახალგაზრდა, პერსპექტიულმა ჰ. ელბრაჰტმა შესაბამისად დატოვეს „მიონხენგლადბახი" და „არმინია ბიელეფელდი". ისინი ერთმანეთს „მიუნხენ 1860"-ში შეხვდნენ.

წინ ინგლისელები არიან

ფიფა-ს სტატისტიკის მიხედვით, ბოლო 25 წლის მანძილზე მიღწეული შედეგებით ფეხბურთში ევროპის საკლუბო გუნდების სამივე გათამაშებაში პირველ ადგილზე არიან ინგლისის კლუბები — 457 ქულა, შემდეგ მოდიან ესპანეთი — 430, იტალია— 321 და გფრ — 304.

● ფეხბურთი

პელეს აზრით

მას შემდეგ, რაც ბრაზილიის ეროვნულმა ნაკრებმა მარცხი განიცადა სამხრეთ ამერიკის პირველობაზე, გუნდის მწვრთნელი კ. კუტინიო კრიტიკის ცეცხლში მოხვდა. ამის თაობაზე პელემ შემდეგი განაცხადა: „კუტინიომ გუნდი მსოფლიოს 1982 წლის ჩემპიონატისთვის უნდა მოამზადოს. ახლა მას კრიტიკა კი არა, გვერდში ამოდგომა და მხარდაჭერა ესაჭიროება".

ბეკენბაუერის ახალი გატაცება

მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო ფეხბურთელს ფ. ბეკენბაუერს, რომელიც ამჟამად ნიუ-იორკის „კოსმოსის" ღირსებას იცავს, ახალი გატაცება აქვს — მან ფეხბურთის ბურთი ზამთრის სეზონში ჩოგბურთის ბურთზე „გაცვალა". ამ რამდენიმე ხნის წინათ იგი ამერიკელ გერულაიტისთან ერთად თამაშობდა წყვილში.

ეს ჯოჯოხეთია...

ბუნდესლიგის საფეხბურთო კლუბებს ამ რამდენიმე ხნის წინათ ერთი შეკითხვით მიმართეს — სად უხეშობენ ყველაზე უფრო? პასუხი ერთსულოვანი იყო: იტალიაში. „აქ თამაში შეუძლებელია. ეს უფრო ომს ჰგავს, ვიდრე ფეხბურთს. თუ გინდა, რომ გადარჩე, მეტოქეს არაფერი უნდა დაუთმო, ვალში არ დარჩე, თორემ ჩათვალე, რომ შინ ტრავმირებული დაბრუნდები". — განაცხადა „შტუტგარტის" პრეზიდენტმა გ. მაიერ-ფორფელდერმა.

● ჩოგბურთი

ოცდამეხუთედ!

სან-ფრანცისკოში ამერიკელმა ჩოგბურთელებმა დევისის თასის გათამაშების ფინალში დაამარცხეს იტალიელები — 5:0 და ოცდამეხუთედ დაეუფლნენ ამ პრიზს.

სპეციალისტთა აზრით იტალიელებს გამარჯვების ნაკლები შანსი ჰქონდათ „ვერცხლის სასალათეს" დაუფლებისათვის ფინალურ ბრძოლაში. ერთეულთა შეხვედრაში კ. ბარაზუტიმ ბრძოლა ვერ გააგრძელა ვ. გერულაიტისთან დაშავების გამო. მეორე ქულა ამერიკელებმა მიიღეს ჯ. მაკინროის გამარჯვების შემდეგ იტალიელთა პირველ ჩოგანთან ა. პანატასთან — 6:2, 6:3, 6:4. წყვილთა შეხვედრაში ამერიკელებმა ს. სმიტმა და ბ. ლუტცმა მოუგეს პანატასა და პ. ბერტოლუჩის — 6:3, 12:10, 6:2 და გუნდური შეჯიბრების ბედი თავიანთ სასარგებლოდ გადაწყვიტეს. ერთეულთა დასკვნით შეხვედრებში მაკინროიმ დაამარცხა ა. ზუგარელი 6:4, 6:3, 6:1, ხოლო გერულაიტისმა — პანატა 6:1, 6:3, 6:3.

«სპორტლოტო»

სპორტული ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა შედეგები „სპორტლოტოს" 50-ე ტირაჟებისა.

„სპორტლოტო 6—49"-დან:

პირველი: ექვსი და ექვსი (შეღავათიანი ბურთულით) ციფრები ვერავინ გამოიცნო. ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (22 ბარათი) მოგება 2861 მანეთია, ხუთისთვის (შეღავათიანი ბურთულით, 63 ბარათი) — 64, ოთხისთვის (1628 ბარათი) — 39, სამისთვის (27230 ბარათი) — 3.

მეორე: ექვსი ციფრი ვერავინ გამოიცნო. ექვსი ციფრის (შეღავათიანი ბურთულით, 2 ბარათი) გამოცნობისთვის მოგება 1735 მანეთია, ხუთისთვის (26 ბარათი) — 735, ხუთისთვის (შეღავათიანი ბურთულით, 66 ბარათი) — 54, ოთხისთვის (993 ბარათი) — 29, სამისთვის (16329 ბარათი) — 3.

„სპორტლოტო 5—36"-დან:

პირველი: ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (5 ბარათი) მოგება 10000 მანეთია, ოთხისთვის (1063 ბარათი) — 130, სამისთვის (32983 ბარათი) — 5.

მეორე: ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (2 ბარათი) მოგება აქაც 10000 მანეთია, ოთხისთვის (565 ბარათი) — 306, სამისთვის (22887 ბარათი) — 7.

მოგებათა თანხის განაღდება იწარმოებს 1979 წლის 26 დეკემბრიდან 1980 წლის 26 იანვრის ჩათვლით.

● სროლა

ყველაზე ძლიერი ქალი

მინსკში გაიმართა საკავშირო ჩემპიონატი პნევმატური იარაღის სროლაში. მოსკოველი ნ. ზობალოვა შაშხანით ვაჟთა ტურნირში გამოდიოდა და პირველობაც მოიპოვა. მან 10 მეტრზე 40 გასროლით 394 ქულა მოაგროვა. ეს ქულით სცობს ოფიციალურ მსოფლიო რეკორდს და 3 ქულით აღემატება რიგელ ბ. ზარინის საკავშირო მიღწევას. II და III ადგილები ერგოთ ვაჟებს ბ. პოლიაკსა (ალმა-ათა) და ა. მიტროფანოვს (მოსკოვი). ისინი ჩემპიონს თითო ქულით ჩამორჩნენ.

ქალთა შეჯიბრებაში ჩემპიონი გახდა მინსკელი თ. ჩერნიკოვა—389 ქულა. იუნიორებში იმარჯვა ევროპის ჩემპიონმა, ლვოველმა ა. ლისენკომ — 391, ხოლო გოგონებში — ვორონეჟელმა ლ. სოკოლოვამ — 388.

პნევმატური პისტოლეტით სროლაში „ოქროს" დაეუფლნენ: ვაჟებში — ლენინგრადელი ვ. სტოლიპინი — 392 ქულა, ქალებში — რიგელი ი. როზე — 386, გოგონებში — ფიზკულტურის ცენტრალური ინსტიტუტის სტუდენტი ტ. ტურიშჩევა—387, იუნიორებში — სამგზის პისტოლეტით სროლის კონტინენტის ჩემპიონი ს. პიეიანოვი (ბრიანსკი) — 385.

პირველად ჩატარდა პნევმატური იარაღით „გაქცეულ ტახზე" საკავშირო ჩემპიონატი. ცეცხლის ხაზზე გამოვიდა მრავალი აღიარებული ოსტატი, რომელთა შორის იყო მონრეალის ოლიმპიადის ჩემპიონი ა. გაზოვი, აგრეთვე, ა. კედიაროვი, მ. იიაგი და სხვანი, მაგრამ წარმატება წილად ხვდა 19 წლის კიშინიოველ ვ. ბალაევს. გუნდური ტურნირი დოსააფის და პროფკავშირების ნაკრებმა მოიგო. მომდევნო ადგილებზე არიან შეიარაღებული ძალების და „დინამოს" სპორტსმენები.

რედაქტორი ა. ბასილაია.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14 დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო". ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივ ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-26; სამხატვრო — 93-97-52; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-57.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380096, თბილისი-96, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის, 29.

ИНДЕКС 66435

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17

უე 07560